ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №17 (7094) 1 სექტემბერი 2023 წელი

შოვის ტრაგედია ყველას ტრაგედიაა...

ტრაგედიის ადგილიდან გვატყობინებენ თერჯოლელი მეხანძრე-მაშველები და რეზერვისტები...

დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა გულშეძრულია კურორტ შოვში დატრიალებული ტრაგედიით. ეს ტკივილი ალბათ დიდხანს არ განელდება. მიუხედავად უკვე რამდენიმე დღის გასვლისა, სამძებრო-სამაშველო და გაწმენდითი სამუშაოები მთელი ტემპით გრძელდება. ხელისუფლების მიერ საამისოდ მობილიზებულია ყველა ძალა და საშუალება. საგანგებო სიტუაციების მეხანძრე-მაშველებთან ერთად სამუშაოებში ჩართული არიან სამხედროები, რეზერვისტები, ადგილობრივები.

კახა ვარდოსანიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელი: შოვში ჩასვლისთანავე ჩვენი საბრძოლო შემადგენლობა, ადგილობრივ და მეზობელი სოფლების მცხოვრებლებთან, უფრო ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტების სამაშველო რგოლებთან ერთად ოპერატიულად ჩავერთეთ სამაშველო სამუშაოებში, რაც 24 საათიან რეჟიმში გრძელდება. ჩვენი მეხანძრე-მაშველები მორიგეობით ცვლიან ერთმანეთს. ☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან... ☞2, 3

ახალი სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყება!

ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში სასწავლო წლის დაწყების თარიღად განსაზღვრულია 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების თარიღად 15 ივნისი;

2023 წელს, 15 ივნისი პარასკევს ემთხვევა. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში გაჩნდა მოლოდინი, რომ ახალი სასწავლო წელი შესაძლოა არა 15, არამედ 18 სექტემბერს—ორშაბათიდან დაიწყოს. როდის იწყება ახალი სასწავლო წელი?

შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს სწავლის 18 სექტემბერს დაწყების შესახებ ინფორმაცია.

როგორც განათლების სამინისტრო განმარტავს—სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყება, ხოლორაც შეეხება სწავლის თარიღის გადაწევას, კანონით ესეც დაშვებულია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ 15 სექტემბერი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს—ასეთ დროს სასწავლო წელი იწყება „15 სექტემბრის შემდგომ პირველ სამუშაო დღეს“ (კანონი ზოგადი განათლების შესახებ).

* * *

ამ დღეებში ჩვენ დავუკავშირდით მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ **ქეთევან შეყრილაძეს** და ახალი სასწავლო წლის მზაობის თაობაზე ვესაუბრეთ.

მისი განმარტებით მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა მომზადებული შეხვდება ახალი სასწავლო წლის დაწყებას, რომ 15 სექტემბერს სკოლის კარს პირველად შეაღებს 280 პირველკლასელი. რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ასევე გვამცნო, რომ გადაწყვეტილია და მუნიციპალიტეტში მალე დაიწყება სოფელ ძევრის საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, ქალაქ თერჯოლის №1, სოფლების—ზედა სიმონეთის და გოგნის საჯარო სკოლების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ ასევე ვესაუბრეთ მუნიციპალიტეტის მერის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელს გოდერძი თურქაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ სასწავლო პროცესის დასაწყებად მზად იქნება სოფელ ბარდუბნის საჯარო სკოლაც, სადაც ამჟამად დასრულების ფაზაშია შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებში სკოლაში მოეწყობა ცენტრალური გათბობის სისტემა, სპორტული დარბაზი, ასევე ჩატარდება კოსმეტიკური სახის სამუშაოები.

მკითხველს ასევე ვაცნობებთ, რომ ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი საბავშვო ბაღებში 18 სექტემბერს დაიწყება. ახალ სასწავლო წელს ცოტა მოგვიანებით ახალ შენობაში შეხვდებიან ქალაქ თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები.

ქალაქი თერჯოლა
ლაშა გოგიაშვილის სახელობის
ახლადგახსნილი სკვერის
შესასვლელი კოსტავას
ქუჩიდან...

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

შოვის ტრაგედია ყველას ტრაგედიაა...

1☞

ტრაგედიის ადგილიდან გვატყობინებენ თერჯოლელი მეხანძრე-მაშველები და რეზერვისტები...

თერჯოლის მებრძოლი ბრიგადა, რომლის რიგებში არიან: კობა რობაქიძე, გიორგი გაბრიჭიძე, გრიგოლ გაბეხაძე, გურამ კაპანაძე, ზაალ ფოცხვერაშვილი, კოტე არეშიძე, თეიმურაზ პერანიძე, კობა ჩხარტიშვილი, შმაგი ქოჩიაშვილი, ლევან კვირიკაშვილი, საბა კუბლაშვილი, მანუჩარ ლილუაშვილი, ალიკა ლილუაშვილი, ტარიელ გაბეხაძე, გოჩა ბუცხრიკიძე, დათო ჩიტიძე, თემურ სათირიშვილი, მიხეილ გელაშვილი, ლევან ბრეგაძე, ვალერი ნემსაძე, ლევან ყაზაიშვილი შესაძლებლობის მაქსიმუმს ახმარს დაკარგულთა საძიებო თუ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს. როგორც საზოგადოებამ იცის, 25 აგვისტოსათვის უკვე ნაპოვნია 31 დაკარგულის ცხედარი. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ საძიებო სამუშაოების არეალი ამ-ბროლაურამდე გაფართოვდა და ზოგიერთი, უკვე დამუშავებული ადგილები, და-

კარგულთა ახლობლების მოთხოვნით ხელახლა დამუშავდა, ორი დაკარგული ჯერ კიდევ არაა ნაპოვნი.

ჩვენი ბიჭების განწყობა მტკიცეა—სანამ საჭირო იქნება ისინი კვლავაც შესაძლებლობების მაქსიმუმის ზღვარზე იმუშავებენ.

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყოველ მათგანს... მჯერა მათი. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ამ კოლექტივთან მიხდება საქმიანობა.

ვსარგებლობ შესაძლებლობით და თქვენი გაზეთის საშუალებით ასევე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ მანუჩარ რობაქიძეს, რომელმაც თანმხლებ პირებთან ერთად მოგვინახულა ტრაგედიის ადგილზე, შოვში—გაგვამხნევა და კვლავაც თანადგომა აღგვითქვა.

გურამ ლილუაშვილი, რეზერვისტი: შოვში, სამაშველო და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში აქტიურად ჩაერთვნენ კოპიტნარში განთავსებული რეზერვისტთა ბატალიონის რეზერვისტები, რომელთაგან 6 ჩვენი რაიონის მკვიდრია, კერძოდ: გურამ ლილუაშვილი, სერგო ჯიხვაშვილი, აკაკი ქურციკიძე, მერაბ მემანიშვილი, დიმიტრი ცერცვაძე და ვალერი ყუფარაძე.

ტრაგედიის მეორე დღიდან, 102-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის პირველი მსუბუქი ქვეითი ძალების 65 რეზერვისტი, სამძებრო-სამაშველო და გაწმენდით სამუშაოებში ჩავებით. ძირითადში ჩვენი მოვალეობა პროფესიული მაშველების დახმარებაა. სამუშაოები 8-9 ლოკაციაზე მიმდინარეობს ადრე დილიდან, გვიან ღამემდე. ყოველი მომდევნო ლოკაცია სულ უფრო რთულია, როგორც რელიეფურად, ისე მიწა-შლამის ბალასტით და საერთოდ აქ საშინელი მდგომარეობაა. რაჭის მარგალიტი, კურორტი შოვი იავარქმნილია. მყისიერად განვითარებული მოვლენების დროს, დღის 4 საათისათვის მოვარდნილმა მიწა-შლამის ნიაღვრებმა პირისაგან მიწისა აღგავა მდინარე ბუბას მიმდებარედ განლაგებული კოტეჯები. მსხვერპლიც სწორედ აქედანაა ყველაზე მეტი, წალეკა ხიდები და ნაპირსამაგრი ჯებირები, ძირფესვიანად მოთხარა ასწლოვანი ხეები...

მაშველებთან ერთად მოვახერხეთ რამოდენიმე დაკარგულის გვამის პოვნა, რომლებიც იდენტიფიცირებულია. სამწუხაროდ, გარდაცვლილთა რიცხვი მატულობს...

სამძებრო-სამაშველო და გაწმენდით სამუშაოებში ჩართული თითოეული მებრძოლი ძალისხმევას არ დავიშურებთ, ჩვენზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად.

ჩვენ გვჯერა თერჯოლელი ბიჭების ამ სიტყვებისა და მათი საქმისა...

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში აქტიურ ფაზაშია სტიქიის შედეგად დაზარალებული 5 ბენეფიციარის საცხოვრებელი სახლის აღდგენითი სამუშაოები.



ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის ფარგლებში, ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, დავით გოგბერაშვილთან ერთად რამდენიმე ოჯახში პირადად იმყოფებოდა, აღდგენით სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და ბენეფიციარებს სამომავლოდ მხარდაჭერას დაჰპირდა.

„მიმდინარე წელს, სტიქიის შედეგად დაზიანდა რამდენიმე ოჯახის საცხოვრებელი სახლი. კერძოდ, ჩამოინგრა სახურავი და საყრდენი კედლები. დაზიანების მასშტაბის გამო, მოხდა აღნიშნული ოჯახებისთვის ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, ხოლო დემონტაჟისა და მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ დაიწყო აღდგენითი სამუშაოები. ასევე, თებერვალში სტიქიის დროს, დაზარალებულ მოსახლეობას საჭიროების მიხედვით გადაეცათ გადასახური მასალები“— განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა.

სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

სამუშაო შეხვედრას მერიის თანამშრომელი, სოსო ჩაფიჩაძე, საკრებულოს წევრები, კობა კაცაძე და ბიძინა ბუცხრიკიძე, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბავშვიანი ოჯახების მხარდასაჭერად...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში აქტიურად მუშაობს ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამა.

ასეთ ოჯახებთან მორიგ შეხვედრას ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი ლაშა ლანჩავა, ასევე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების თანამშრომელი, ნინო ხუჯაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ამ დღეებში პროგრამის ფარგლებში, რამდენიმე ოჯახში, პირადად მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით გოგბერაშვილი იმყოფებოდნენ, ბენეფიციარებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადასცეს და სამომავლოდ გვერდით დგომას დაჰპირდნენ.

ოჯახების ამ პროგრამაში ჩართვისათვის შემოსულ განცხადებებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება განიხილავს და ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის ფარგლებში, ბენეფიციარებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა, გაზქურა, მაცივარი და სარეცხი მანქანა გადაეცემათ.

პროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების გაძლიერება, სამიზნე ჯგუფების დახმარება სხვადასხვა პირველადი საჭიროების ნივთების შეძენაში.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

ესტუმრეთ თერჯოლის ღირსშესანიშნაობებს

ძევრულას კარსტული ხეობა

სოფელ ძევრში, მდინარე ძევრულას კარსტულ ხეობაში, რეკრეაციული სივრცის მოწყობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, დავით გოგბერაშვილთან, ასევე ძევრი, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარ დეპუტატთან, მანუჩარ ფანჩულიძესთან ერთად მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში დასრულებულია საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის, გაბიონებისა და სველი წერტილების მოწყობა, პარალელურად მიმდინარეობს საპიკნიკე ფანჩატურების, მდ. ძევრულაზე გადასახედი გამჭვირვალე კონსტრუქციის, გამოქვაბულებამდე მისასვლელი ბილიკის, გარე განათებისა და საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის მშენებლობა.

აღნიშნული პროექტი, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მიმდინარე წელს დასრულდება.

სამუშაო შეხვედრას საკრებულოს წევრი ბიძინა ბუცხრიკიძე, ასევე მერიის თანამშრომელი სოსო ჩაფიჩაძე ესწრებოდნენ.

ნავენახევის მღვიმე

თუ ოჯახთან ერთად მოგზაურობას დაგეგმავ, შესანიშნავი იდეაა ესტუმროთ სოფელ ნახშირღელეს და ნავენახევის მღვიმეს.

ნავენახევის მღვიმე განსხვავებული და ლამაზი ფორმის სტალაგმიტებით, სტალაგნატებითა და სტალაქტიტებით გამორჩეული, 250 მეტრის სიგრძის ორსართულიანი და 4 დარბაზიანი მღვიმეა.

ის შესასვლელიდან 30-ე მეტრზე ორად იყოფა. მეორე სართული პატარა საფეხურებით დაკავშირებულია დარბაზთან. მღვიმეს გასასვლელი არ აქვს, ამოკეტილია სტალაგნატით, რომლის სისქე 7 მეტრია.

ნავენახევის მღვიმის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა.

ადგილზე თქვენ დაგხვდებათ:

ვიზიტორთა ცენტრი, ამფითეატრი, საგანმანათლებლო სივრცე, საბავშვო გასართობი სივრცე.

მომსახურების სახეები და ღირებულება:

ბილეთი 6 წლამდე ბავშვებისთვის - უფასო;

ბილეთი არასრულწლოვანებისთვის (6 წლიდან 18 წლამდე) - 5.50 ლარი;

ბილეთი, საქართველოს მოქალაქეებისთვის და რეზიდენტი პირებისთვის გარდა არასრულწლოვანებისა—8 ლარი. (საჭიროა პირადობის მოწმობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა!);

სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის, გარდა არასრულწლოვანებისთვის—11.50 ლარი

ტურები ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში

სამუშაო საათები: 10:00 - 18:00

დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი



ეს მნიშვნელოვანი და საინტერესო ადგილი, სადაც დროის სასიამოვნოდ გატარებას შეძლებთ, სოფელ ზედა სიმონეთში მდებარეობს.

დავით კლდიაშვილი დიდი ქართველი მწერალი და დრამატურგია, რომლის შემოქმედებითაც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ არამარტო ესთეტიკური სიამოვნება, არამედ გავეცნოთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთს.

დავით კლდიაშვილის ნაწარმოებები არაერთ ფილმსა და სპექტაკლს დაედო საფუძვლად.

სახლ-მუზეუმში ხშირად იმართება იმერულ მოტივებზე შექმნილი წარმოდგენები, რაც ვიზიტორებისთვის უფრო მიმზიდველს ხდის ამ ადგილს.

სახლ-მუზეუმში დაცულია მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები: ავეჯი, ხელნაწერები, სამოსი, ჭურჭელი და სხვა.

მუზეუმს ბოლო წლებში, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ჩაუტარდა რეაბილიტაცია. ასევე მოხდა საჭირო ტექნიკის შეძენა, განახლდა მუზეუმში არსებული ექსპოზიცია და ლიტერატურა.

მუზეუმში ვიზიტი შესაძლებელია სამშაბათიდან-კვირის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

სკოლის სიხარული

საბოლოო შედეგები ჯერ არ დადებულა, მაგრამ ახალთერჯოლის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა და აბიტურიენტმა, ნინო აბჟანდაძემ ახლა უკვე მომავალმა სტუდენტმა ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა, შეფასებები ყველა საგანში შთამბეჭდავია.

აი, რა თქვა მასზე სკოლის დირექტორმა ნინო თოდიძემ:

ნინო აბჟანდაძე ახალთერჯოლის საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე იყო, მან სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ის პედაგოგების ოჯახში დაიბადა, მისი ბებია არიადნა რობაქიძე და ბაბუა ლევან აბჟანდაძე ფიზიკისა და მათემატიკის ცნობილი პედაგოგები იყვნენ, დედაც ახალთერჯოლის საჯარო სკოლის მასწავლებელია. ნინო თავიდანვე გამორჩეული ბავშვი იყო, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული და სწავლაში წარმატებული, აქტიური სასკოლო ცხოვრებაში. მონაწილეობდა პროექტებსა და კონკურსებში და ხშირადაც უსახელებია ჩვენი სკოლა, იყო რაიონის მასშტაბით პროექტ ,,ეტალონის“ სამეულის წევრი და მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა ,,FLEX”-ის ნახევარფინალისტი. სულ ახლახანს, თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტის მიერ ორგანიზებული პროექტის ,,ჩონგური საქართველოს“ ესეების კონკურსის გამარჯვებული გახდა. მისი სტატიები გაზეთ ,,ახალ განათლებაში“ იბეჭდებოდა. გვასახელა ეროვნულ გამოცდებზე, ყველა საგანში მაღალი შეფასებები დაიმსახურა, აი, ქართულში კი უმაღლესი 60 ქულა აიღო. ნინო საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით აპირებს სწავლის გაგრძელებას. ჩვენ გვჯერა, რომ ის იქნება წარმატებული სტუდენტი და კვლავაც ასახელებს სკოლას, სოფელს, რაიონს და ღირსეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში.

ჩვენი მხრიდან ვიტყვით, რომ ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ქვეყნის მასშტაბით, განათლების სამინისტროს ცნობით, ქართულში მაქსიმალური ქულა—60-დან 60, მხოლოდ რამდენიმე აბიტურიენტმა მიიღო.

ხუთი პედაგოგი ერთი ოჯახიდან

კიდევ ორი წელი და საუკუნის სიმძიმე დააწვება მხრებზე. ამ წლების „ხათრით“ მისთვის ბევრი კითხვა არ დამისვამს. ხანგრძლივი პედაგოგიური საქმიანობა, ათეულობით თაობის აღზრდა, დიდი, შრომისმოყვარე და გამართული ოჯახი, ღირსეული ოჯახის წევრები, მათი დამოკიდებულება ქალბატონი მარიამისადმი ისედაც ბევრის მთქმელია. ასაკოვან ქალბატონს ცხადია ძველებური შემართება აღარ აქვს, მაგრამ შესაშური მეხსიერება შემორჩა, აზროვნებაც. იგი ხშირად ერთვება ოჯახურ საუბრებში, რაიმე საკითხის გამო გადაწყვეტილების მიღებისას მის აზრს ითვალისწინებენ, ხშირად საუბრობს წარსულზე, დღევანდელობაზე, რაიონში, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების საქმის კურსშია, კითხულობს გაზეთებს, უყურებს ტელევიზორს, ეამაყება, რომ მისი ძმისშვილი მამუკა მერიის თანამშრომელია, ,,დაიფასე შენი სამუშაო, ერთგული იყავი და პატივისცემა გქონდეს უფროსების და გარშემომყოფლებისო“—არიგებს თურმე მამუკას.

მარიამ არაბიძე

ჯულიეტა ზარნაძე

ოქტომბერში გამართულ მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებში ცხადია მონაწილეობა მიიღო. ხმა რომ მისცა უკითხავს, არა კი არ უკითხავს, დაუზუსტებია „საპარლამენტო არჩევნები გაისად არის ხომ?“ დიახ, ოთხმოცდათვრამეტი წლის ასაკშიც მოჰყვება ეწრელ მარიამ არაბიძეს არა მარტო გონიერება, არამედ ერთგულება. ორმოცდაათი წელი ემსახურა საყვარელ საქმეს, გეოგრაფია-ბიოლოგიას ასწავლიდა ეწრის საშუალო სკოლაში, ათეულობით თაობამ, ასეულობით ახალგაზრდამ გამოიარა მის ხელში, ბევრმა მარიამ მასწავლებლის სიყვარულით პროფესიად მასწავლებლობა და კერძოდ მეცნიერების ეს დარგი აირჩია. ოჯახს, სკოლას, საქმეს მიუძღვნა ქალბატონმა მარიამმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი. პენსიაზეა, მაგრამ ხშირად ფიქრობს სკოლაზე, ყოფილ მოსწავლეებზე, უხარია მათი წარმატებები.

პენსიონერი პედაგოგი მშვიდად და ბედნიერად ატარებს მოხუცებულობის წლებს, შეუძლია, აქამდე მითუმეტეს შეეძლო, ეკეთებინა პატარ-პატარა საოჯახო საქმეები, მაგრამ დედოფალივით უზით, თავს ევლებიან ძმისშვილები და რძალი ჯულიეტა ზარნაძე... ქალბატონი ჯულიეტა მარიამის მოსწავლე იყო, მოეწონა მარიამს მშვენიერი ჯულიეტა, ძმის, ვაჟას საცოლედ დაიგულა, 1964 წელს ეს მოწონება-სიყვარული ქორწინებით დამთავრდა, რძალ-მულს—ჯულიეტას და მარიამის ოჯახური ურთიერთობა ორმოცდაცხრამეტ წელს ითვლის, სკოლაში, სახლში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება დღესაც მისაბაძია.

ვაჟამ, რომელიც ეწრის კოლმეურნეობაში ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადირი იყო, კარგი მეურნე და სტუმართმოყვარე კაცი, ჯულიეტასთან ერთად ოთხი შვილი გაზარდა—მაია, მარინა, მანანა და მამუკა. გოგონები თავს ევლებიან დედას და მამიდას, მამუკა კი, რამდენადაც ამას სამსახურებრივი მდგომარეობა აძლევს, საკაცო საქმეებში ეხმარება ოჯახს, უმცროსია, მაგრამ ყველას მისი ხათრი აქვს, იმსახურებს ალბათ და იმიტომ.

პედაგოგთა ოჯახი

იყო დრო, ვაჟა არაბიძის ოჯახიდან ხუთი პედაგოგი ერთდროულად გამოდიოდა. ვაჟას და ქალბატონი მარიამი, მეულლე ჯულიეტა ზარნაძე, შვილები: მაია, მარინა, მანანა. მარინა გათხოვდა, მაია და მანანა დღესაც სკოლაში მუშაობენ. მაია ბუნებისმეტყველებას და ბიოლოგიას ასწავლის, მანანა დაწყებითი კლასების პედაგოგია, მამუკა იურისტია—განსხვავებული პროფესია აქვს, მაგრამ ოჯახს ძველი სახელი—პედაგოგთა ოჯახი ისევ შემორჩა.

მაია—მამიდას კვალზე...

მაია არაბიძე წლებია უნარიანად ცდილობს აზიაროს მოსწავლეები საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მათ საშუალებას მისცემს შეიცნონ და გაითავისონ სამყარო, ჩაერთონ საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნონ პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოების და გარემოს მიმართ. მე-5 მე-12 კლასები საბუნებისმეტყველო მეცნიერების სწავლებისას, იღებენ ცოდნას ცოცხალ სამყაროზე, სამყაროში მიმდინარე ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებზე, დედამიწაზე და გარესამყაროზე, განსაკუთრებით

მაია არაბიძე

მარინა არაბიძე

უფროსკლასელებს აქვთ ინტერესი ბუნებისმეტყველებისა და ბიოლოგიის მიმართ.

მაიას ცოცხალი სიტყვა საუკეთესო საშუალებაა გაკვეთილის შესათვისებლად, მიაჩნია, რომ მარტო სახელმძღვანელოზე არ შეიძლება სრული იმედის დამყარება, მოსმენა, ყურადღება, ათვისება გაკვეთილზევე, მნიშვნელოვანია „ძველი, მკვდარი ზუთხვა გაუქმდაო“—უყვარს თქმა. მაია იშვიათად იყენებდა დასჯის მეთოდს, არც ახლა იყენებს, მოსწავლის მიერ წესრიგის დარღვევისას უმეტეს შემთხვევაში შემოიფარგლება საუბრით, დარიგებით, ტკბილი სიტყვით, ყოველთვის იტოვებს „რეზერვს“, თუ საჭიროებამ მოითხოვა, შემდგომი „დასჯისთვის“, სტიმული მოსწავლეებისათვის არასოდეს დაუკარგავს, ყოველთვის აძლევს შესაძლებლობას გააანალიზონ საქციელი და გამოიტანონ დასკვნები.

მარინა და მანანა დედის კვალზე

წლების განმავლობაში დედა-შვილი, ჯულიეტა, მარინა, მანანა იაკობ გოგებაშვილის დედაენას აზიარებდნენ პატარებს, წერა-კითხვას ასწავლიდნენ და თითის დაყოლებით, დამარცვლით აკითხებდნენ პირველ წინადადებებს. ოთხი წლის განმავლობაში აძლევდნენ იმ ცოდნას, რაც საკმარისი იყო მაღალ კლასში კარგად სწავლისთვის, მერე მარინამ ოჯახი შექმნა, სადაც უნდა ასწავლიდეს ეწრის სკოლაში მიღებულ გამოცდილებას ყველგან გამოიყენებს.

მანანა კვლავ ეწერში ასწავლის, დედის-ჯულიეტა ზარნაძის დიდი გამოცდილება აღარ ჭირდება, საკუთარიც საკმარისი აქვს. არის მზრუნველი, მშობლებისათვის იგი საიმედო აღმზრდელია. მანანა პირველი კლასიდან მოჰყვება ახლანდელ მე-4 კლასს, იაკობ გოგებაშვილის დედაენის სწავლება განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს, პატივს სცემს სხვა ავტორთა მიერ შექმნილ დედაენას, მაგრამ იაკობის დედა ენა, წიგნი უპირველესი და უსაყვარლესი, მისთვისაც უპირველესია, ამ წიგნით შეჰყავს ქალბატონ მანანას ნორჩი თაობა ცოდნათა უფრო მაღალ სფეროში, ავითარებს მათ გონებრივ-შემეცნებით ძალებს, უღვიძებს კვლევისა და ძიების ინტერესს. „წიგნის პირველი გაკვეთილი მისი—ორი სიტყვა „აი-ია“, ბედნიერი მიგნებაა, სწორუპოვარი გასაღებია ქართული ანბანის“—ამბობს

მანანა არაბიძე

და მოგვიანებით—სრულად რომ დამთავრდება ყველა ასო-ბგერის შესწავლა, ამ სიტყვებს მაშინაც უმეორებს პატარებს...

ხუთნი ერთი ოჯახიდან...

მარიამ არაბიძემ ძმისშვილების, მოზარდი თაობის აღზრდას მიუძღვნა მთელი ცხოვრება, ასეთივე ცხოვრებით იცხოვრა ჯულიეტა ზარნაძემ, იგი საკუთარ ოთხ შვილს ზრდიდა და ყოველთვის ფიქრობდა სხვის შვილებზე, თავის მოსწავლეებზე, ასეთები არიან მისი შვილებიც. ხუთი შესანიშნავი პედაგოგი ერთ ოჯახში...

ეწრის საჯარო სკოლის დირექტორს ია ხვარეშიას მარიამ არაბიძე წლების განმავლობაში ასწავლიდა. ია მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე ყოფილა და ძალიან უყვარდა თურმე. ია ამბობს, რომ ქალბატონი მარიამი არ იყო მარტო მასწავლებელი, იგი იყო მეორე მშობელი და მოსწავლეების მეგობარი.

მერე იამ პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. ეწრის სკოლაში დაიწყო მუშაობა. ყოფილი მასწავლებელი და მოსწავლე—კოლეგები გახდნენ, კვლავაც მეგობრობდნენ, ერთმანეთის აზრს ისმენდნენ და პატივს სცემდნენ. „პედაგოგთა ოჯახი“ ქალბატონი იასათვის საიმედო დასაყრდენი იყო და არის...

ჟუჟუნა ცხადაძე

კარგი სიტყვა მრავალშვილიან ოჯახზე

ირაკლი კუბლაშვილი: „შვილთა სიმრავლე დაგვბედებოდეს“...

ჩვენს ქვეყანას, რომლის ძირძველი ქართული ტერიტორიების 20% ოკუპირებულია და დედასამშობლოს მოწყვეტილი, პრობლემებს რა დაულევს. როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათგან მიგრაცია და საერთოდ, დემოგრაფიული სიტუაცია მეტად დამაფიქრებელია. ამ პრობლემებზე, დემოგრაფების მიერ ზარები კარგა ხანია დარისხებულია, გაეროც ცუდ პროგნოზს გვიწინასწარმეტყველებს, რომ 20-30 წლის შემდეგ ქართველები საქართველოში შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდნენ (?!) დიახ, აღმოჩნდებიან თუ დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისათვის ქმედითი ნაბიჯები არ გადაიდგა, აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, მისი ხელშეწყობა... ქართველებიც უნდა გამეცადინდნენ, რომ ტრადიციული ქართული ოჯახები შექმნან და რაც შეიძლება მეტი შვილი გაუჩინონ სამშობლოს. საბედნიეროდ, მაგალითები ასეთი მრავალშვილიანი ოჯახებისა გვაქვს და მათი მიბაძვა ციური მანანასავით წაადგება საქმეს. როცა ამ თემაზე საუბარს ვიწყებთ, უმალ იტყვიან—პირობები არანაირი არ გვაქვს და ბევრი შვილი როგორ გავაჩინოთო, ნეტავ ოჯახიც არ შემექმნაო...

ბევრი შეძლებული ოჯახიც შეგვიძლია დავასახელოთ, სადაც თითო-ოროლა შვილს, რომ შესციცინებენ... ჩვენდა გასახარად, ამ შეძლებულ ოჯახებშიც არიან სამაგალითო გამონაკლისები...

დღეს ერთ-ერთ მათგანზე ღვანკითელ ირაკლი და ინგა კუბლაშვილების ოჯახზე შევჩერდებით, სადაც 5 ანგელოზივით შვილი ეზრდება კუთხეს და შესაბამისად მამულს.

ირაკლი შპს „იმელი-8“-ას ხელმძღვანელობს, ინგა ღვანკითის საჯარო სკოლის დირექტორია და ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის საპატიო საქმეს ემსახურება. ასეთი მოსამსახურეების ოჯახები ხშირად სხვა საქმიანობით თავს აღარ იწუხებენ, კუბლაშვილების ოჯახში კი საათივით აწყობილი მეურნეობა აქვთ, სიმინდიც მოჰყავთ და ყურძენიც, ცხვარ-ძროხაც ჰყავთ და კრუხ-წიწილაც... 5 შვილი ჰყავთო ვთქვით. რა ჯაფა, რუდუნება და უძილო ღამეები დასჭირდება ამდენი შვილის გაზრდას და აღზრდას ეცოდინება ყველას, ვისაც შვილი გაუზრდია საერთოდ.

ამ პუბლიკაციას რომ ვწერდი ახლობელი შემომესწრო, აბა ამჟამად ვინაა შენი კალმის ადრესატი, მკითხა ინტერესით. ერთი კარგი პიროვნებაა, მრავალშვილიანი, შენ არ გეცოდინება მეთქი. მითხარი ვინაობა, იქნებ ვიცნობო. დავუსახელე ვინც იყო, ძალიანაც კარგად ვიცნობო, მომიგო. მე კვირაობით ეკლესიაში დავდივარ, არ მახსოვს მაგ კაცს წირვა გაეცდინოს, ჭეშმარიტი ქრისტიანია, მართლმადიდებელი და რა გასაკვირია თუ ბევრი შვილი ჰყავს—მორწმუნე კაცი, მეუღლეს შვილის მოსაშორებლად არ გაუშვებს და იმდენ შვილს გააჩენს, რამდენსაც უფალი აჩუქებსო. თუმცა თავად ქალბატონ ინგას ვინმეს გასაშვებ-არგასაშვები რა სჭირს, იგი შვილებს ზრდის იმ შეგნებით და პასუხისმგებლობით, რომელიც ყოველ ქართველ, ჭეშმარიტ მანდილოსანს უნდა ჰქონდეს საერთოდ. აფერუმ, მის ქალობას.

მოდი, ახლა დაუსწრებლად ჩვენი ქვეყნის ეს ხუთი საიმედო მომავალი გავიცნოთ: პირველი ავთანდილი, უკვე ზრდასრულია, მეღვინე-ტექნოლოგის სპეციალობით, გიორგი—უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტია, ანა მე-12 კლასის, კონსტანტინე მე-6 კლასის, ცოტნე კი მე-2 კლასის მოსწავლეები არიან. ეჭვი არაა ხუთივენი საზოგადოების სასარგებლო ადამიანები და ღირსეული მამულიშვილები იქნებიან.

გვქონდა საშუალება შევხვედროდით ბატონ ირაკლის, გაეხარდა გაზეთის რედაქციის მხრიდან ყურადღება და საოჯახო ბატალიებთან ერთად ისეთ მხარეებზეც გვესაუბრა, რომლებიც აქტუალურია ქვეყნის მასშტაბით.

მე და ჩემმა მეუღლემ ინგა ჯალიაშვილმა, გვეუბნება ირაკლი, სიყვარულით შევქმენით ოჯახი, ერთსულოვანი იყო გადაწყვეტილებაც, გვყოლოდა ბევრი შვილი. დღემდე სიამტკბილობით მოვედით. გვეამაყება და გვიხარია, რომ უკვე ხუთი შვილი გვყავს. ამაზე მეტი სიმდიდრე რა უნდა იყოს. მივიღეთ იგი, როგორც ღმერთის დიდი საჩუქარი. თავად გავზარდეთ შვილები, მშობლები გვეხმარებოდნენ ცხადია, განსაკუთრებით დედა ჟუჟუნა მარუაშვილი. მიუხედავად ქვეყანაში არასახარბიელო დემოგრაფიული სიტუაციისა, ქართულ ოჯახებში თავს არიდებენ მრავალი შვილის ყოლას, ან თუ იყოლიებენ თითო-ოროლას, აქვს ამას თავისი, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. მე მათ ახსნას და ვინმეს განკითხვას არ შევუდგები, ამ უკანასკნელისაგან ღმერთმა დამიფაროს, ცოდვაში ჩავიდგამ ფეხს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ შეძლებულ ოჯახებში უფრო ნაკლები შვილი ჰყავთ, ვიდრე სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში, არადა ჩვენს წინაპრებს, ხომ ვიცით, რომ ბევრი შვილი ჰყავდათ, ათი, თორმეტიც კი. ჩვენს სასიქადულო მეფე ერეკლეს თუ არ ვცდები, 20-მდე შვილი ჰყავდა. გაჭირვების და განსაცდელის მეტი რა გამოიარა ჩვენმა ხალხმა, მაგრამ შვილთმრავლობა იყო ის ერთ-ერთი მთავარი წყარო, რითაც აქამდე მოვიდა ქართველობა.

დღეს ისე, როგორც არასდროს საჭიროა მრავალი შვილის ყოლა, მტკიცე ქართული ოჯახები, შვილებითა და ჯალაბით სავსე, რადგან საქართველოს არაკეთილმოსურნენი შინ თუ გარეთ ცდილობენ ფუძე შეურყიონ ქართულ ოჯახს, უკვე ღიად ებრძვიან მართლმადიდებლობას, აუგის თქმას ბედავენ ჩვენს პატრიარქზე. იციან, რომ საქართველოს სიძლიერე და საერთოდ არსებობა ყოველთვის ქართულ, ტრადიციულ ოჯახზე იყო დაფუძნებული. სასურველია და საჭირო ამ მიმართულებით, ყველაფერი კანონით დარეგულირდეს. ამასთან, ყოველგვარ ასეთ გამოხტომებს ტრადიციული ქართული ღირებულებები უნდა დავუპირისპიროთ. საბავშვო ბაღებიდან, სკოლის კედლებიდან უნდა ხდებოდეს ახალგაზრდებში ამ ღირებულებების პროპაგანდა. ქვეყნის გაძლიერების საქმეში დიდი წვლილის შეტანა იქნება თუ სამსა და მეტ შვილს ვიყოლიებთ ყოველ ქართულ ოჯახში, აღვზრდით მათ საზოგადოებისათვის ისეთ სასარგებლო ადამიანებად, რომლებსაც გულმხურვალედ ეყვარებათ ღმერთი, სამშობლო და მოყვასი...

ნება მომეცით ჩემი საუბარი იმედიანი განწყობით პოეტ შოთა ნიშნიანიძის ლექსიდან „ძახილი“ ამონარიდით დავამთავრო:

შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეს
მტრედის გრუტუნი და მუხის ჩერო,
ჩხებით, აკვნებით და ბუდეებით
ამაღლდი, ჩვენო ფუძევ და ჭერო!..

ესაუბრა ი. ერაძე

ნათლობა — პირველი საიდუმლო ახალი აღთქმისა

სიქთარვის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში ახალი აღთქმის პირველი საიდუმლო ნათლობა აღესრულა. მოინათლა ორი წლის ალექსი სალუქვაძე და გაიღო მისთვის ეკლესიის შესასვლელი კარები, შეეძლება, თანდათან, ასაკის შესაბამისად, შეაღოს სხვა საიდუმლოთა აღსასრულებლად შესასვლელი კარებიც. მაცხოვრის თქმით—„უკეთუ ვინმე არ იშვას წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე 3.5). ალექსი ახალ ადამიანად გარდაიქმნა—მიეცა მას ახალი გული და ახალი სული „და მოგცემ შენ ახალ გულს და სულს ახალს მოგცემ შენ“ (იეზიკ 36,25-26).

შესრულდა მაცხოვრის მიერ დადგენილი უდიდესი საიდუმლო. ორი წლის ალექსი ხელახლა დაიბადა და განიწმინდა თანდაყოლილი ადამისეული ცოდვებისაგან. ალექსი პატარაა, მას არ აქვს გაცნობიერებული ნათლობის მნიშვნელობა, მაგრამ თანდათან გაიაზრებს მომხდარს, მანამდე კი ალექსის მშობლები ლევან სალუქვაძე და მარი აქუბარდია, ნათლიები: ქრისტი კახიძე, დავით ცხადაძე, სულხან მემანიშვილი, ნიკუშა ქარჩავა, გოგა ხვიჩავა, ზაზა წურწუმია, დაეხმარებიან მას იყოს ღვთისმოშიში, წესიერი, ზრდილი ბავშვი. ჩაუნერგავენ სიყვარულს, სიბრძნეს, გონიერებას, მშვიდობის მნიშვნელობას, მეგობრობას, ქრისტესმიერი ცხოვრების აუცილებლობას.

თანდათან ისწავლის, რომ არ სჭირდება უფალს ცოდვით დამძიმებული ცხოვრება, რომ უფალს სჭირდება რწმენითა და სიყვარულით გამთბარი სუფთა გული, საკუთარი თავის შეცნობილი ადამიანი, სჭირდება თავმდაბალი და არა ამპარტავანი ადამიანი...

გაიზრდება ალექსი—მშვიდად, ბედნიერად, თავის, სხვების სამსახურში გალევს ცხოვრებას, დაიცავს ქრისტეს მცნებებს და ამასობაში გაივლის წლები —იქნება იგი საუკუნის ადამიანი და მის შთამომავლებში გაგრძელდება მისი სიცოცხლე...

„პასუხსაგები, შრომატევადი, უანგარო შრომა“

გაგრძელდა ტრადიცია. სიქთარვის საჯარო სკოლაში 2023 წლის 22 აგვისტოს ზაფხულის ბანაკი გაიხსნა. რეგისტრაცია გაიარა 200-ზე მეტმა მოსწავლემ, როგორც სიქთარვის, ისე მეზობელი სოფლების სკოლებიდან. ბანაკში დარეგისტრირდნენ სხვადასხვა ქალაქებიდან სტუმრად ჩამოსული მოსწავლეებიც. საინტერესო იყო ბანაკის პირველი დღე—რეგისტრაცია, გაცნობა, ლიდერების მიერ არჩევანის გაკეთება, დაჯგუფება თანაბარი ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეების, ცოტა გადაადგილ-გადმოადგილება ინტერესთა გათვალისწინებით, 10 ჯგუფის, 10 ლიდერის საინტერესოდ წარმოდგენილი პრეზენტაცია...

ბანაკი გახსნა სკოლის დირექტორმა ია კვატაიამ. მან მოკლედ მიმოიხილა თუ რა მუშაობა იქნა გაწეული, გამოთქვა კმაყოფილება, რომ დიდი იყო ინტერესი და ბანაკში მიღების სურვილი „გავატაროთ ეს 5 დღე ისე, რომ იყოს დასამახსოვრებელი, შინაარსიანი, საქმიანი, მივიღოთ ცოდნაც და გართობაც, ვთქვათ—როდის მოვა მომავალი ზაფხული, რომ ისევ შევხდეთ“.

სკოლაში ჰყავთ „მშვიდობის კორპუსის“ მონაწილე ამერიკელი მასწავლებელი, ოფიციალურ დოკუმენტებში კი არის ჩაწერილი მისი გვარი და სახელი, მაგრამ სხვებმა კია არა, მგონი თვითონაც „გადავიწყებული“ აქვს. თავის თავს სოსო დაარქვა და ახლა ყველა ასე მიმართავს, თვითონაც ასე ეცნობა ყველას. სოსო კარგად საუბრობს ქართულად. ქართულად მიესალმა ბანაკის მონაწილეებს, აქტიურია ყველა საქმეში და იას გვერდით უდგას, ორასი მოსწავლის სიყვარულით წარმოთქმული „სოსო-სოსო“ ძალიან მოეწონა.

ბანაკის გახსნას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სიქთარვისა და ახალთერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჯემალ ისაკაძე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელში გიზო ხანიაშვილი, ისინი მიესალმნენ ბანაკის მონაწილეებს.

ბანაკის გახსნას ესწრებოდნენ აგრეთვე სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები, სხვა ახლობლები. „ეს არის პასუხსაგები, შრომატევადი და უანგარო შრომა, დაგეგმილმა აქტივობებმა, იმის რწმენამ, რომ ბანაკი საინტერესოდ იმუშავებს, გადამაწყვეტინა ჩემი ორი შვილი მომეყვანა ბანაკში“—თქვა თერჯოლის №1 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნატო კვეტენაძემ. შესრულდა ღონისძიების ლიდერების ცეკვა, ყველა მოსწავლე ჩაერთო ამ მხიარულ განწყობაში. ლიდერებმა წარმოადგინეს თავიანთი ლოგო, გაიმართა პრეზენტაციები და დაიწყო ბანაკის სისხლსავსე, ათასგვარი მოლოდინებით სავსე ცხოვრება.

და გავიდა ხუთი დღე. დაიხურა სიქთარვის საჯარო სკოლის ზაფხულის ბანაკი. ეს იყო გაცნობის, დამეგობრების, აზრთა გაზიარების, ცოდნის მიღების, დასვენებაგართობის და მრავალი აქტივობებით დატვირთული დღეები. ია კვატაიას ნათქვამი ახდა—ყველას დარჩა სურვილი, რომ მალე მოვიდეს მომავალი ზაფხული, რათა ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

ბანაკის მონაწილეთა განცდა-შთაბეჭდილებებს მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

შოთა რუსთაველის მემორიალის ახალი სიცოცხლე

თერჯოლელებს მუდამ გვსურდა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტს, ჩვენს ქალაქსა თუ სოფლებს თავიანთი ხიბლი თუ ბუნებრივი საგანძურები ისე სრულად ეჩვენებინა სტუმრებისთვის, როგორც საიმერეთოს გულს შეეფერებოდა, ბევრიც კეთდებოდა ამისთვის...

ახლა, ახალი რეალობა ამას უფრო მეტად მოითხოვს და ნაბიჯ-ნაბიჯ სრულდება კიდეც კეთილი ნება—თერჯოლა იყოს უფრო სრულყოფილი და კეთილსახოვანი.

ჩვენს გაზეთსაც ძალიან ბევრი რამ აქვს საამოდ სამბობი... მზადაც ვართ, მოვეფეროთ ყველა იმ ადამიანს (დიდსა და პატარას), ვინც თავის წილხვედრი გაიღო და გაიღებს, რომ თერჯოლა იყოს კიდევ უფრო ლამაზი და გამორჩეული მუნიციპალური ცენტრი.

ამჯერად ერთ-ერთ მათგანს წარმოგიდგენთ. თემურ აბულაძე ის ადამიანია, ვინც რამდენიმე ათეული წლის წინ შექმნილ და დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად დაზიანებული ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე განთავსებული მემორიალის („შოთა რუსთაველი 800“) აღდგენაზე მუშაობდა.

გვჯერა მკითხველი სიამოვნებით ჩაავლებს თვალს მოკლე ინფორმაციას ამ პიროვნების შესახებ. იგი თერჯოლაში დაიბადა 1966 წლის 25 თებერვალს, ჩხარში მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ეზიარა ფერწერის ხელოვნებას. მეუღლე — შორენა კახიძე პედაგოგი გახლავთ და მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების საქმეს მსახურებს. ორი ვაჟიშვილი ჰყავთ — ლაზარე და ირაკლი! ისინი თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან.

ბატონ თემურის ავტობიოგრაფიას, როგორც ხელოვანისას, ნათელ ფერს სძენს მისი თერჯოლის კულტურის სახლში მხატვარ-დეკორატორის შრომატევადი საქმიანობა.

სხვადასხვა დროს მოუხატავს ჭაბუკმთის, ჩხარის, სიქთარვის, ეწრის (თანამოსაქმე გოჩა ცერცვაძესთან ერთად) სალოცავები.

ჩამონათვალი შთამბეჭდავია, თუმცა არასრული!

შემთხვევითი არ არის, რომ ხელოვან ოსტატს მიენდო დიდი შოთა რუსთაველის საიუბილეო მემორიალის განახლების (სრული რესტავრაციის) საპასუხისმგებლო საქმე.

სიტყვაძვირი გამოდგა ოსტატი!

ძლივს, ძლივს ავიყოლიეთ საუბარში...

ერთხანს თავაზიან უარზედაც კი იყო... ჯერ „საქმემან ჩემმან გამომაჩინოსო“...

გვჯერა მისი—საქმე გამოაჩენს!

ქალაქის ცენტრმა განახლებული ქმნილება დაიმშვენა.

მადლობას ვეტყვით საჭრეთელისა და ფუნჯის ოსტატს, რომელიც იდგა ფარდაგჩამოფარებულ ხარაჩოზე და ქმნიდა დიდი რუსთველის სახებას.

აქვე პატივით მოვიხსენიებთ იმ ხელოვან ოსტატებსაც, მრავალი წლის წინ რომ შექმნეს ეს მემორიალი.

თერჯოლა ახლის მოლოდინშია...

გაზეთი „თერჯოლა“

P.S. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ თემურ აბულაძემ, რომელმაც დაასრულა შოთა რუსთაველის ბარელიეფის აღდგენა-რესტავრაცია, თავი წარმოგვიდგინა ნიჭიერ თეატრალურ მხატვრადაც. ახლახანს, იმერეთის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, თერჯოლის სახალხო თეატრის სპექტაკლის („ფაბრიკის გოგონები“—რეჟისორი მამუკა ცერცვაძე) წარმატებაში მისი ნამუშევრის მნიშვნელოვანი წვლილიცაა.

მომავალი წარმატებები მას!

„ო, ენავ ჩვენო, დედაო ენავ“...

მშობლიურ ენას რომ უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ვუვლიდეთ ამას რა ბევრი განმარტება უნდა. ერის მამად წოდებულმა, აწ უკვე წმინდანად შერაცხულმა ილია ჭავჭავაძემ ხომ წინაპართაგან გადმოცემული, სამი საუნჯის—მამული, ენა, სარწმუნოება დაგვიდო ანდერძში, საპატრონოდ და მოსავლელად.

სამწუხაროდ ცნობილ მიზეზთა გამო უჭირს დღეს ერთსაც, მეორესაც და მესამესაც. ამჯერად ენაზე შევჩერდებით, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ჩვენს ყოველდღიურობაშია და ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი დახვეწილი ქართულით ვიმეტყველებთ, როგორ რუდუნებით ვასწავლით შვილებს გამართული ქართულით წერას, კითხვას და ლაპარაკს.

ზემოთ მიზეზები ვახსენეთ ქართული ენის დამახინჯებისა და თუ ადრე დიდი იყო რუსული ენის გავლენა მშობლიურ ენაზე, ამჯერად ინგლისურის გავლენა ძლიერდება და იმდენად აქტიურად, რომ ლამის მშობლებმა აკვნიდან დააწყებინონ შვილებს ინგლისური ენის შესწავლა. დიდ ქალაქებში სარეკლამო აბრები და ობიექტების დასახელება ინგლისური წარწერებითაა გაფორმებული, ქართული საერთოდ არაა, ან თუა ინგლისურის შემდეგ (?!). მაგ. ადრეულ წლებში ლამის თბილისის სიმბოლოდ ქცეული სასტუმრო „ივერიას“, ახლა „რედისონ ბლუ“ ჰქვია. წერდნენ კიდეც ამაზე ადრე, ქართული ენის გულშემატკივრები, რესპუბლიკურ პრესაში, ახლა ივერიაც დაგვიბლუესო. ასევეა სპორტის სასახლესთან სასტუმრო აჭარის სახელწოდებაც. ის არ იფიქროს ვინმემ, რომ ჩვენ რომელიმე ენის შესწავლის წინააღმდეგი ვიყოთ, პირიქით, რაც მეტი ენა იცის მით მეტი მდიდარია ადამიანი, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ქართული ენის მეორე პლანზე გადატანით.

ტელევიზიები ავიღოთ. საქმეში ჩახედულები ჯავრობენ, რომ საშინელი ქართული იღვრება ტელეეკრანებიდანო. რაა, რომ ეს ტელეწამყვანები ჯორის წიხლებივით მიაყრიან სიტყვებს ერთმანეთს, რა წერტილი, რის მძიმე. სულმოუთქმელად ჩაარახრახებენ სათქმელს და ბიჭი ხარ გაიგე რა უნდოდათ ეთქვათ. თუ დროში იჭედებიან „საპნის ოპერებად“ წოდებული მოსაწყენი სერიალები (უმეტესად თურქული) შეამცირონ ცოტა და სათქმელი გასაგებად გვითხრან.

ჩვენ რა შეგვიძლიაო იტყვის მკითხველი. ჩვენ ის შეგვიძლია, რომ ვიმეტყველოთ გამართული ქართულით, თუ მეწარმეა ვინმე თავად თუ არ იცის, სხვას ჰკითხოს და სწორი ქართული წარწერა გაუკეთოს შესაბამის ობიექტს. აგერ, ბატონო, ავტობანიდან შეუხვევთ ქალაქში და უმალ თვალში გეცემათ სარეკლამო ფარი წარწერით—ბეტონის სტოლბები. სტოლბა ხომ რუსული კალკია, ქართულად ბოძი ჰქვია. ასეთ დროს უნდა მიხვიდე ობიექტის ხელმძღვანელთან, ურჩიო აჯობებს ბეტონის ბოძები დააწეროთ-თქო, მაგრამ ფრთხილად უნდა იყო აქეთ არ შემოგედაოს, თუ რატომ მოგახსენებთ. მეზობელ ქალაქში ვარ ერთხელ, გავუყევი მოვაჭრეთა დახლებს, ჩემთვის სასურველ პრეპარატს ვეძებ. აგერ „შავიაბანი“, თვალში მეცა მყვირალა წარწერა. ვიყიდე რამდენიც მჭირდებოდა. წარწერა გაქვთ არასწორად, შაბიამანი უნდა ეწეროს მეთქი, შევკადრე მორიდებით. შეცბა ძალიან, თქვე დალოცვილო, ყველა შავიაბანს უძახის და აგრე რომ დავაწერო, ვინ მომეკარებაო. ახლა იმის თქმა, რომ კიდევ უფრო სწორი ბორდოს ფხვნილია მეთქი უადგილო იქნებოდა და გავეცალე გამყიდველს, რომელიც ალბათ გულში ფიქრობდა ვინაა ეს „არამკითხე მოამბეო“.

კი, ბევრი მყიდველიც სიტყვა „სტოლბას“ ხმარობს ბოძის მაგივრად, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში წარწერა რომ სწორ ქართულით იყოს შესრულებული, მომხმარებელი ამას გაითვალისწინებს. ვთქვი, რომ სწორად უნდა ვიმეტყველოთ—მეთქი. მაგ. ძალიან გამიკვირდა როცა ერთმა მანდილოსანმა თბილისის საქალაქო ტრანსპორტში თხოვნით მიმართა მძღოლს—გეთაყვა ასტანოვკაზე გამიჩერეო. ასტანოვკა ხომ ქართულად იგივე გაჩერებაა.

თუ ადრე უამრავი რუსული ტერმინი გავითავისეთ, ახლა ინგლისური მოგვეძალა და ნელ-ნელა ინგლისურით ხდება შესაბამისი ქართული სიტყვის ჩანაცვლება.

მაგ. ყველა დონეზე დღეს სულ უფრო ხშირად ხმარობენ სიტყვას „ტრენინგი“, რაც ქართულად ვარჯიშს ნიშნავს. ასევე სიტყვებს „ნარატივი“, „ინსინუაცია“, „პიკნიკი“ და ა.შ. არაერთი ინგლისური სახელწოდებით უკვე ისე გაიხედნა ყური, რომ მისი ქართული შესატყვისი აღარც გვახსოვს.

ცოტა ადრინდელი პერიოდი მინდა გავიხსენო. რაიონულ გამგეობაში შეშას ანაწილებდნენ სოციალურად დაუცველებზე. ინფორმაციის ასაღებად წავედი რედაქციიდან. ზის გამგეობის წარმომადგენელი და ასეთ განმარტებას აძლევს მთხოვნელს: წაიღებ ამ საბუთს, ჩახვალ მუსიკალურ სკოლაში, რეინჯერთან და გეტყვის სად, რომელ ადგილას მოჭრა შეშაო. შეწუხდა მთხოვნელი (ხანდაზმული მამაკაცი იყო) შვილო, მე არც მუსიკალური ვიცი სადაა და არც რეინჯერიო. თავად გამგეობის მუშაკიც შეწუხდა—დაარქმევენ ამ რაღაც ჯანდაბა სახელებს და უხსენი ახლა ყოველ მთხოვნელს რა და როგორ არიო. არადა უბრალოდ ტყისმცველი, იგივე მეტყევე, ყოფილა ქართულად, ყველამ კარგად რომ ვიცით. ზოგიერთს თავიც კი მოსწონს, საუბარში ასეთი უცხოური სიტყვების გამოყენებით. სრულებით არ ფიქრობს იმაზე, რომ ამით მშობლიურ ენას ამახინჯებს და ანაგვიანებს. უნდა ფიქრობდეს და უფრთხილდებოდეს კი.

კონკრეტული წერილით სწორედ ასეთებზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება და მცირედი ნაწილი მაინც თუ გაითვალისწინებს შეგონებას, ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებასაც გამართლებულად ჩავთვლით.

ი. ერაძე

გოგი ხარაბაძე

თერჯოლის საზოგადოებრიობა დაამწუხრა ცნობამ, რომ 81 წლის ასაკში გარდაიცვალა მრავალმხრივი შემოქმედი: მსახიობი, რეჟისორი და მწერალი გოგი ხარაბაძე. გოგი ხარაბაძე დაიბადა 1942 წლის 12 ივლისს, თბილისში.

1963 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სამსახიობო ფაკულტეტი. 1963–1993 წლებში მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში.

მისი თეატრალური დებიუტი ახალგაზრდულ ექსპერიმენტულ სპექტაკლში შედგა. პირველი როლი ფილმში კი „გიორგობისთვე“ აღმოჩნდა 1966 წელს, სადაც ოთარის როლი შეასრულა. უარყოფითი გმირის ამპლუა მას კინემატოგრაფიაშიც გადაჰყვა: მომხიბვლელი, მაგრამ ეგოისტი ნოდარი („ჩემი მეგობარი ნოდარი“, 1967 წელს), კაზა ჩხეტია („დათა თუთაშხია“, 1978 წელს) და სხვა. მონაწილეობდა ტელეფილმებში: დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, 1974 წელს (აბესალო) და ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, 1977 წელს (არჩილ ფორია).

ხარაბაძე მრავალმხრივი შემოქმედი იყო. გამოირჩეოდა მაღალი პროფესიულობით. შექმნილი აქვს ტელეთეატრის ციკლი: „პოეზიის 30 წუთი“ (1974), “ბედი ქართლისა“ (1975), „აკაკი წერეთლის მონოლოგი“ (1979), „ვაჟა-ფშაველას ნაანდერძევი“ (1983), „დავით კლდიაშვილის ნაამბობი“ (1985) და სხვა.

გამოცემული აქვს ბიბლიის, შოთას „ვეფხისტყაოსნის“, ილია ჭავჭავაძის ლექსების, აკაკი წერეთლის ლექსებისა და პოემა „თორნიკე ერისთავის“, ვაჟა-ფშაველას ლექსებისა და პოემების „ალუდა ქეთელაურის“ და „სტუმარ-მასპინძლის“, გალაკტიონ ტაბიძის და სხვა ცნობილი პოეტების ლექსების, ქართული ზღაპრების აუდიო ვერსიები.

მიეძღვნა ჭადრაკის საერთაშორისო დღეს

მიმდინარე წლის 20 ივლისს, ჭადრაკის დღესთან დაკავშირებით, გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ჭადრაკში.

ტურნირის მონაწილეებს მიესალმნენ და წარმატებები ერთად ჭადრაკის წრის მოსწავლეებიც დაჯილდოვდნენ.

გამარჯვებულებს ფულადი თანხები და შესაბამისი ხარისხის დიპლომები გადაეცათ.

მათი აღსაზრდელები წლიდან წლამდე ხვეწენ ოსტატობას, თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ საქართველოს მასშტაბით გამართულ ტურნირებში.

ვულოცავთ მათ და ჭადრაკის მოყვარულებს 20 ივლისს—ჭადრაკის დღეს.

უსურვეს მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გურამ თურქაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით გოგბერაშვილმა.

აღნიშნულ ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა ლევან ფორჩხიძემ, მეორე ადგილი ზურაბ კუტალაძემ, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა მურმან ღვინეფაძე. მოყვარულ უფროს მოჭადრაკეებთან ზოგი რამ ჭადრაკის დღესთან დაკავშირებით:

ჭადრაკი ყველაზე პოპულარული თამაშად არის მიჩნეული მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მას ინტერესით უთმობენ დროს ადამიანები.

ეს ბრძნული თამაში ძველი დროიდანვე გავრცელდა საქართველოში.

ჩვენს რაიონშიც ნაყოფიერად საქმიანობს საჭადრაკო სკოლა, სადაც ამ საქმის ჩინებული ოსტატები მერი ჩაფიჩაძე და გია ჭუმბურიძე მოღვაწეობენ.

ახლა ზოგადი რამ ზოგადად:

1924 წლის 20 ივლისს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში დაარსდა საჭადრაკო ორგანიზაცია—ფიდე.

ქრონოლოგია ასეთია: 1966 წელს პირველად აღინიშნა ჭადრაკის დღე;

2019 წელს გაერთიანებული ერების გენერალურმა ანსამბლეამ 20 ივლისი ოფიციალურად გამოაცხადა დღესასწაულად.

საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში
და კვლავ ნინი წივწივაძე!

ახლახან ქ. ბათუმში გაიმართა მე-7 საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში მოსწავლე გოგონათა შორის. მასში 25 ქვეყნის 400 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

12 წლამდე გოგონათა შორის თერჯოლის საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელმა ნინი წივწივაძემ არ უღალატა ტრადიციას და 9 შესაძლებლობიდან 6,5 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს მედალთან ერთად მას გადაეცა თასი, დიპლომი და ფულადი ჯილდო. წარმატებებს ვულოცავთ მას და მის მწვრთნელს ოსტატობის კანდიდატს ჭადრაკში გია ჭუმბურიძეს.

გაზეთი „თერჯოლა“

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. სოფელი. 2. მოსავალი. 3. შრომა. 4. შემოდგომა. 5. მინდი. 6.ღვინო. 7. დონდღლაბი. 8. გუთნისდედა. 9. ორშიმო. 10. მარანი. 11. ოროველა. 12. სიმინდი. 13. სოიო. 14. ტრადიცია. 15. რთველი. 16. ვენახი. 17. ქვევრი. 18. ბადაგი. 19. ციცქა.

სოსო გიორგაძე

ზედა სიმონეთის დავით კლდიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი სოსო გიორგაძე, რომელიც სამი ათეული წელი ხელმძღვანელობდა ამავე სკოლას.

ბატონი სოსო დაიბადა 1934 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთში. დაამთავრა ამავე სოფლის სკოლა, ხოლო ქუთაისის ალ.წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე 1955 -2008 წლებში მუშაობდა სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლად. 1974-2005 წლებში ხელმძღვანელობდა აღნიშნულ სკოლას დირექტორის პოზიციაზე. დაჯილდოებულია სახალხო განათლების სიგელით, ჰქონდა საზოგადოების ფართო აღიარება და 2012 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს, მეუღლეს ნანა მინდიაშვილს, შვილს—ბიოლოგიის პედაგოგ ირმა გიორგაძეს.

ღირსეული პიროვნება, საოცარი პედაგოგი, არაჩვეულებრივი მმართველი, პასუხისმგებლიანი ადამიანი დააკლდა სოფელს. მისი გაზრდილი თაობები პატივისცემითა და მოწიწებით შეინახავენ მისი სახელის ხსოვნას.

პროფესორები: გელა საითიძე, ნუგზარ და არტურ სულამანიძეები გულისტკივილით იუწყებიან ძვირფასი მასწავლებლისა და მეგობრის, სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორის

სოსო გიორგაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ აწ განსვენებულის ოჯახს და პედაგოგიურ კოლექტივს.

ივანე (დათო) მაჩიტიძის ხსოვნას

ადამიანი, რომელიც ტოვებს დედამიწას, აგრძელებს ცხოვრებას ჩვენს გულებში. 28 წელი გავიდა იმ ავბედითი დღის შემდეგ. 42 წლისამ დაგვტოვე მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გინდოდა და გიხაროდა სიცოცხლე. დღეს კი სხვა განზომილებაში გილოცავთ შეუსრულებელ დაბადების 70 წლისთავს, რომელსაც უშენოდ აღვნიშნავთ და მოვიგონებთ, ახსოვხარ და თბილად გიხსენებს ყველა. დრო ვერ კურნავს საყვარელი ადამიანის იმიერში გადასახლებით მიყენებულ ტკივილს, უბრალოდ გასწავლის მასთან ერთად ცხოვრებას. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, სანამ იცოცხლებენ შენი უახლოესი ადამიანები. განისვენე მშვიდად, სადაც მართალნი განისვენებენ.

უახლოესი ადამიანები

ძევრულჰესის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის

შალვა (შაკო) ნეფარიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვალერიან (ვალტერ) გოგიაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი უახლოესი მეგობარი

ელდარ დოლაკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია მწუხარებაში თანაუგრძნობს სოსო არაბიძეს დედის

ლილი გვენეტაძე-არაბიძის

გარდაცვალების გამო.

„გეკაფოთ-რაც ულრანია, აგევსოთ რაც ხარვეზია“...

გალაკტიონი

წარმატებების გზით გევლოთ!..

დიდი სურვილი გვქონდა, რომ ჩვენს გაზეთს რაღაც სამახსოვრო გაგვეკეთებინა ჩვენი საჯარო სკოლების 2023 წლის კურსდამთავრებულებისათვის...

გადავწყვიტეთ, რომ გულწრფელ მილოცვასთან ერთად, კარგი იქნებოდა, თუ ყველა კურსდამთავრებულთა ჯგუფურ იმ სურათებსაც გამოვაქვეყნებდით, რომლებიც მათ ბოლო ზარის დღეს გადაიღეს...

გაზეთის წინა ნომრებში ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ ქ. თერჯოლის №2, გოდოგნის, გოგნის, ეწრის, ბარდუბნის, რუფოთის, ჩხარის, ზედა სიმონეთის, ჭოგნარის, ძევრის, ქვ. სიმონეთის №1, ღვანკითის, ახალთერჯოლის, ნახშირღელის, თუზის, ჩხარის №1, ქვ. სიმონეთის №2, ნაგარევის საჯარო სკოლების და კერძო სკოლა „მზეკაბანის“ კურსდამთავრებულთა სურათები, რასაც კარგი გამოხმაურება მოჰყვა.

ამჯერად გთავაზობთ ქ. თერჯოლის №1, ალისუბნის №2, კვახჭირის, სიქთარვის, ალისუბნის №1 და საზანოს სკოლების კურსდამთავრებულთა ფოტოებს.

„თერჯოლა“

ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლა

სიქთარვის საჯარო სკოლა

ალისუბნის №2 საჯარო სკოლა

ალისუბნის №1 საჯარო სკოლა

კვახჭირის საჯარო სკოლა



საზანოს საჯარო სკოლა

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872